

საქართველო

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო

2100, ქ. ზუგდიდი, ზვიად გამსახურდიას გამზ. №45



GEORGIA

SAKREBULO OF ZUGDIDI MUNICIPALITY

№45 Zv.Gamsakhurdia av. ZUGDIDI, 2100

ქ. ზუგდიდი

04.05.2018 წელი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №47

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში  
ჰერალდიკის თემატიკასთან დაკავშირებით  
შექმნილი დროებითი სამუშაო ჯგუფისთვის  
ვადის გაგრძელების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 29-ე მუხლის და „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტი) დამტკიცების შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის N1 დადგენილების დანართის 34-ე მუხლის შესაბამისად, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება:

1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სიმბოლოების (დროშა და გერბი) დადგენის მიზნით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შექმნილ დროებით სამუშაო ჯგუფს გაგუგრძელდეს ვადა ერთი თვით.
2. ჯგუფმა აღნიშნულ ვადაში განსახილველ საკითხზე უზრუნველყოფოს შესაბამისი დასკვნის მომზადება.
3. მიღებული განკარგულება გადაეგზავნოს ჯგუფის წევრებს.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ზუგდიდი. რ. ლალიძის ქ. N12).

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე



მამუკა წოწერია